საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

№ 245

პარასკევი, ივლისი 14

1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, ივლისის 16, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა ვერაგულად მოკლულ

**დიმიტრი (ტიტო) დავითის ძე**

**ფარესიშვილისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს, განსვენებულის დედა ნინო ფინაზის ასული, ძმა არჩილი და რძალი თამარი შვილებით. პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა ნაშუადღევის პირველ საათზე.

# დადგენილება

ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა ურთი-ერთ შორის ანგარიშების მოწესრიგების შესახებ.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამო, ყველა სახელმწიფოებრივი და საზოგადო დაწესებულებანი გადავიდნენ სამეურნეო ანგარიშზე. ამისათვის სწორი ანგარიშების მისაცემად სამეურნეო ორგანოების მოღვაწეობაზე ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტი საჭიროდ სთვლის, ოცი დღის განმავლობაში, დღიდან ამ დადგენილების გამოცხადებისა, მოაწესრიგოს ყველა საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებებთან საურთიერთო ანგარიშები ამ წლის პირველ იანვრიდან პირველ ივნისამდე, აღმასკომის კომუნალურ და საფინანსო განყოფილებათა საშუალებით.

ყოველ გვარი ანგარიშები და პრეტენზიები სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რომელთაც არ ექნებათ მოწესრიგებული დანიშნულ ვადაზე ანგარიშები, დატოვებული იქნებიან უყურადღებოთ.

ხოლო ამ წლის პირველ ივნისიდან ტფილისის აღმასკომის ორგანოებმა თავისი მუშაობა უნდა აწარმოვონ დაინტერესებულ მხარეებთან კონტოკორენტიულ ანგარიშების გასწორებით ნაღდ ფულზე და არავითარი ჩარიცხვა გადარიცხვა ორგანოების ანგარიშებისა, თუნდაც ერთ და იგივე დაწესებულებებში, დაშვებული არ იქნება.

ტფილისის აღმასკომის თავმჯდომარე ლ. **დუმბაძე.**
კომუნ. განყოფილების გამგე ი. **წივწივაძე.**
საფინანსო განყოფილების გამგე თ. **ღლონტი.**

# ბრიტანეთის სოციალისტები და ერთა თვითგამორკვევის საკითხი

თანამედროვე ევროპა ხასიათდება უძლიერესი იმპერიალისტური პოლიტიკით. წარსულ საუკუნეებშიაც იმპერიალისტურს პოლიტიკას დიდი ადგილი ჰქონდა საერთაშორისო ურთიერთობაში; ძველი რომი ცნობილი არის თავის მილიტარისტული და იმპერიალისტური მოღვაწეობით, მაშინაც ჩამორჩენილი ქვეყნები შეადგენდნენ საექსპლოატაციო ობიექტს და ეკონომიურად და პოლიტიკურად დაწინაურებულ სახელმწიფოებისას, საშუალო საუკუნოების მიჯნაზე დიდმა კოლონიალურმა მიდრეკილებამ იჩინა თავი ევროპაში და იქაური ახლად ფეხადგმული ბურჟუაზია დაჰქმულ ენერგიით შეუდგა შორეულ ქვეყნების დაპყრობასა და მათს გაყვლეფას. აზიის ქვეყნები, მდიდარი ინდოეთი, ჩინეთი, ავსტრალია, აფრიკა და ახლად აღმოჩენილი ამერიკის ქვეყნები შეიქმნენ იმ დაუშრეტელ წყაროდ, საიდანაც ევროპის კაპიტალი ათასგვარი საშუალებებით კრებდა თავის მასაზრდოებელ ზედმეტს მოგებას. ევროპის კაპიტალის გაზრდასა და განვითარებაში, მისი ასეთი სისწრაფით წარმატებაში დიდი ადგილი ჰქონდა აღნიშნულ ქვეყნების ექსპლოატაციას. ევროპის კაპიტალის დაგროვება კოლონიალურ ნაციების ხარჯებზედ მოხდა უმთავრესად და ამ მხრივ ევროპამ დიდი ქონება და დოვლათი შეჰქმნა უცხო ქვეყნების. თანამედროვე ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკა თავიდანვე იმპერიალისტური მიზნებით იყო გაჟღენთილი და ყოველი მათგანი თავგამოდებით აწარმოებდა დაპყრობითი ომებს.

მაგრამ იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოება გაცხოველდა და მან პირველი ადგილი დაიჭირა საერთაშორისო პოლიტიკაში მე-19 საუკუნის მიწურულებში და მეოცეს დასაწყისში. ამ გარემოებას ხელი შეუწყო ორმა დიდმა ფაქტორმა. ეს იყო ერთის მხრით, შედეგი კაპიტალისტურ მეურნეობის უმაღლესი განვითარებისა და წარმოების. ევროპის კაპიტალიზმმა თავის განვითარების პერიოდში განვლო სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალიზმის ხანები და ფინანსიური კაპიტალიზმის სახით უმაღლეს ხარისხს მიაღწია. სამრეწველო კაპიტალისა და საბანკო კაპიტალის შეერთებამ ნიადაგი ჩაუყარა კაპიტალისტური მეურნეობის ახალ ფორმას—ფინანსიურ კაპიტალიზმს, სადაც კაპიტალის კონცენტრაცია და მობილიზაცია უდიდესად განვითარდა. მონოპოლიურ-კაპიტალისტური ტრესტები და კარტელები. აი საფუძველი თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობისა. ასეთი მეურნეობის არსებობისათვის უაღრესი საჭირო შეიქმნა კოლონიალური ქვეყნები; გარეშე ამ ქვეყნებისა კაპიტალისტურ ევროპას არ შეეძლო არსებობა და ის განადგურდებოდა. კოლონიალური ქვეყნები სამის მხრით ხდება იმპერიალისტურ კაპიტალიზმის საექსპლოატაციო ობიექტად. ისინი აწვდიან კაპიტალისტურ ქვეყნებს ყოველგვარ ნედლ მასალას, რაც ასე საჭიროა მათთვის, ხდებიან მათი საქონლის მყიდველნი და რაც უმთავრესია, ჩამორჩენილ ქვეყნებში ხდება ევროპაში დაგროვილ ზედმეტი კაპიტალის ექსპორტი ასამუშავებლად. ამ გვარად თანამედროვე კაპიტალისტური სისტემა აგებული არის ჩამორჩენილ ქვეყნების ყოველმხრივ ექსპლოატაციაზე. კაპიტალიზმის არსებობა შეუძლებელი შეიქმნებოდა, რომ მათი ბატონობის სფეროდან განთავისუფლებულიყვნენ ჩამორჩენილი ქვეყნები. ეკონომიური ცხოვრების ასეთმა მიმართულებამ გარკვეული სახე მისცა თავიანთ სახელმ.-ების საგარეო პოლიტიკას, რაც იმპერიალიზმში გამოიხატა. იმპერიალიზმი ეს კაპიტალიზმის საგარეო პოლიტიკა არის: ყოველი დიდი სახელმწიფოს კაპიტალიზმი ცდილობს რაც შეიძლება მეტი სამეურნეო ქვეყნები დაიპყროს და გახადოს ისინი თავისი შემოსავლის წყაროდ. აქედან წარმოსდგა დაუსრულებელი იმპერიალისტური ცილობა და კონფლიქტები დიდ სახელმწიფოთა შორის. მეოცე საუკუნის დასაწყისში თითქმის მთელი მსოფლიო დაყოფილი იყო დიდ სახელმწიფოთა შორის.

ამ გვარად ერთი მთავარი მიზეზი, რომელმაც ხელი შეუწყო თანამედროვე იმპერიალისტური პოლიტიკის გაძლიერებას, თვით კაპიტალისტური მეურნეობას ტენდენციებში მარხია.

მეორე მიზეზი საერთაშორისო კონფლიქტების გაცხოველებისა იმაში მდგომარეობდა, რომ ამ საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებულს სიძლიერით სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა სამი სახელმწიფო გერმანია, ამერიკა და იაპონია, რომელთაც ძლიერ მცირე კოლონიები ჰქონდათ ამიტომ მთელი მათი პოლიტიკა მიმართული იყო სხვა სახელმწიფოების (ინგლისის) კოლონიების წართმევისაკენ.

ამ გვარად საერთოდ თუ გავითვალისწინებთ მთელს კაპიტალისტურს მეურნეობას, ჩვენ დავინახავთ, რომ ის არის აგებული ჩამორჩენილ ერთა ჩაგვრაზე და ყოველ მხრივ ყვლეფაზე. კაპიტალიზმი თავისავე წიაღში ატარებს საერთაშორისო კონფლიქტებისა და ომების აუცილებლობას დიდ სახელმწიფოთა შორის. სანამ არსებობს კაპიტალისტური კულტურა, მანამდე საერთაშორისო ომების თავიდან აცილება შეუძლებელი არის.

მეორეს მხრით კაპიტალიზმმა დაბადა ბრძოლა ჩამორჩენილსა და განვითარებულს, დაპყრობილსა და დამპყრობელ ერებს შორის. როგორც აღვნიშნეთ, იმპერიალიზმი აგებული არის ერთა დამონებაზე. მსოფლიოს ერთს პოლუსზე დგანან განვითარებული და გაბატონებული სახელმწიფოები, მეორეზე კი ჩამორჩენილი ხალხები, რომელნიც პირველის სრულს მონებს წარმოადგენენ. მთელი კაპიტალისტური მეურნეობა ასეთს არასასურველს ეროვნულს დამონებაზედ არის აგებული. მაგრამ თვის კაპიტალიზმის შეჭრამ ჩამორჩენილ ქვეყნებში განვითარა უკანასკნელთა ეროვნული თვითშეგნება და ისინიც იარაღით ხელში დაუპირისპირდნენ უცხო მოძალადეებს.

თანამედროვე ეპოქა არ გამოხატავს მარტო კლასიურ ბრძოლის მომენტებს. თანამედროვე დიად სოციალურს მოძრაობაში მშრომელთა კლასიურ მომენტებთან ერთად, დიდს როლს თამაშობს ეროვნული მომენტები. ჩვენს ეპოქას განსაკუთრებული სიცხადით ახასიათებს ეროვნული მოძრაობა. დღეს მსოფლიოს ყოველს კუთხეში ხდება ეროვნული გრძნობების დიდი დემონსტრაციები და ყოველი დაჩაგრულები ცდილობს პირველ რიგში წამოაყენოს თავისი ნაციონალური მოთხოვნილებანი. ინდოეთი ნაციონალური მოძრაობის ალში არის გახვეული დიდი ხანია, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები და ოსმალეთი თავგამოდებით იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, აფრიკის ხალხები არა ერთხელ შებრძოლებიან ევროპის იმპერიალისტებს და არა ერთხელ დაუღვრიათ სისხლი ნანატრი თავისუფლებისათვის. ირლანდიის ერი, რომელსაც რამოდენიმე საუკუნის თავდადებული ბრძოლის მომენტები აშფოთებს, დღესაც სისხლისაგან იცლება ბრიტანეთის ჯინგოიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მთელი მსოფლიო ნაციონალური მოძრაობის ცეცხლში არის გახვეული და ეს მომენტი განსაკუთრებულს სახესა და შინაარსს აძლევს თანამედროვე ვითარებას.

რას ფიქრობს ამ მოძრაობის შესახებ ევროპის სოციალისტური პარტიები, როგორია მათი დამოკიდებულება კოლონიალურ რევოლიუციებთან?

ჩვენი გაზეთის ფურცლებზედ არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული რომ ევროპის მემარჯვენე სოციალისტების პოლიტიკა არც ერთ ღირსშესანიშნავს საკითხში არ განსხვავდება რადიკალურად ბურჟუაზიულ პოლიტიკისაგან. მთელი რიგი მემარჯვენე სოციალისტების მეთაურები ევროპაში მხარს უჭერენ იმპერიალიზმს. და ის მიაჩნიათ „სოციალიზმის“ განსახორციელებელ საშუალებათ. ევროპის მემარჯვენე სოციალისტებმა დაადასტურეს იმპერიალისტების კოლონიალური პოლიტიკა და ამით დასცეს იმ ეროვნულს ჩაგვრას, რომელიც შეიქმნილია ამ პოლიტიკის წყალობით. მემარჯვენეები მთელის თავიანთი შეგნებით სდგანან კაპიტალიზმის განვითარების ნიადაგზედ, მათ კარგათ ესმისთ, რომ ამ კაპიტალიზმის განვითარება შეუძლებელია კოლონიების გარეშე, ამიტომ მათთვის აუცილებელი შეიქმნა იმპერიალისტური პოლიტიკის მიღებაც და ერთა დამონების დადასტურებაც. ევროპის ყველა დიდ სახელმწიფოებში დღეს იმ ნიადაგზედ სდგანან მემარჯვენე სოციალისტები, რაც ყველაზე ნათლად ამჟღავნებს მათი პოლიტიკის ბურჟუაზიულს ხასიათს.

ინგლისი მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოა. მისი ბატონობის ქვეშ იმყოფება რამოდენიმე ასი მილიონი კოლონიალური ხალხი, რომელნიც საშინელს შევიწროებასთან, ყვლეფას განიცდიან ინგლისის კაპიტალისტებისაგან. არ ყოფილა არც ერთი მაგალითი, რომ ინგლისის სოციალისტებს ხმა აემოღოთ და აქტიური ბრძოლა გამოეცხადებიათ ინგლისის იმპერიალისტებისათვის და მოეთხოვათ კოლონიალურ ქვეყნების განთავისუფლება. მათი პოლიტიკა ამ მხრივ არაფრით არ განსხვავდება იმპერიალისტების პოლიტიკისაგან. ინგლისის სოციალისტები და დიდი ნაწილი მუშათა კლასისა ლიბერალურად არის განწყობილი და იმპერიალიზმში ხედავს თავის შემოსავლის წყაროს. აი ასეთი შეხედულება ისტორიულად შემუშავდა ინგლისის სოციალისტებში და მისი იქიდან აღმოფხვრა შესაძლებელი არის მხოლოდ დიდი საერთაშორისო ურთიერთობის ცვლილებით.

ამ რამდენიმე დღის წინად მოხდა ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია, რომელიც რამოდენიმე მილიონ მუშათა ორგანიზაციებს აერთებს, „მუშათა პარტია“ არ არის პოლიტიკური პარტია თანამედროვე მისი მნიშვნელობით. ის უფრო ტრედიუნიონების კავშირია. აი, ამ მუშათა ორგანიზაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობენ ჰენდერსონები, მაკდონალდები, ტომსები და მათნი ძმები, ერთი თანაგრძნობის სიტყვაც არ სთქვეს ირლანდიის მოძრაობის შესახებ, მაშინ, როდესაც ამავე ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აღშფოთებას გამოსთქვამენ ირლანდიაში გენერალ ვილსონის მოკვლის გამო, რომელმაც სისხლის მორევში ჩაახრჩო ირლანდიის მუშები და გლეხები.

მაგრამ ამით არ კმაყოფილდებოდა მუშათა პარტია. ყრილობაზე შეტანილი იყო შესწორება რეზოლიუციაში, რომ მხარი დაეჭირათ ყველა ერებისათვის, რომელნიც გახდნენ თავდასხმის მსხვერპლი და იბრძვიან თავიანთ დამოუკიდებლობისა თუ დემოკრატიული დაწესებულებისათვის. ეს წინადადება უარყოფილ იქმნა ყრილობაზე 3.000.000-ზე მეტი ხმით. ამგვარათ ინგლისის მუშათა პარტიამ მხარი არ დაუჭირა ერთა მოძრაობას და ირლანდიის დღევანდელს ბრძოლას აშკარა ომი გამოუცხადა.

ასეთი სულისკვეთება გაბატონებული სახელმწიფოების ყოველგვარი არისტოკრატიული წრეებისა. მემარჯვენე სოციალისტები ერთა თვით-გამორკვევის ლოზუნგით გამოდიან, მაგრამ ეს „თვით-გამორკვევა“ მათი მპყრობელი ხელისუფლებისათვის უნდათ, რომლებმაც იარაღით ხელში უნდა გამოარკვიონ ჩამორჩენილი ერები.

ს. დევიანი.

# მუშათა საკითხი

## წინად და ეხლა*)

ყველამ კარგათ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს რიგიან ბინას, ნამეტურ მუშისათვის, რომელიც მთელ დღეს ჯოჯოხეთურ შრომას ეწევა ქარხნის სულის შემხუთავ ატმოსფერაში. ასეთი შრომით ჰარაქად გამოლეულ მუშას, სამართლიანობა მოითხოვს, საშუალება ჰქონდეს დასვენებისას მაინც, სული მოითქვას და დაკარგული ენერგია აღადგინოს. მაგრამ ამისათვის საჭიროა კარგი მშრალი და ნათელი ბინა, რომელსაც, სამწუხაროდ, ყოველთვის მოკლებული იყო ის. ნესტიანი და ბნელი ოთახი რომელიმე სარდაფში ან კიბის ქვეშ, გამურული ჭერი და ცემენტის ცივი იატაკი, შუშებ ჩამტვრეული სარკმლით, აი ასეთი იყო უმეტეს შემთხვევაში ნივთიერად ხელმოკლე მუშის თავშესაფარი... აი ასეთ ბინაზე ეძლეოდა ის მოსვენებას ცოლ-შვილთან ერთად, ასე იყო მეფის რეჟიმის დროს და თითქმის ასევე დარჩა მენშევიკების დროსაც. მართალია, თითო-ოროლა მოარისტოკრატო მუშამ გამოიცვალა ბინა და ზემო სართულში აცოცდა, მაგრამ ამით საერთო სურათი როდი შეცვლილა: მუშათა კლასი, როგორც მთელი, ისეთსავე მდგომარეობაში დარჩა, როგორშიაც იყო. მე მეძნელება, მენშევიკების ასეთი დამოკიდებულება მუშების ბინის საკითხთან, მათი ბოროტებით ავხსნა. შესაძლებელია მათ რაიმე თვალსაჩინო ნაბიჯის გადადგმაც სურდათ ბინის საკითხის მუშების სასარგებლოთ გადასაწყვეტათ, იქნებ ჩვეულებისამებრ იწერებოდა გეგმები, პროექტები. დიახ შესაძლებელია ყველაფერი ეს ასე იყო, მაგრამ „იყო თუ არა იყო“ ჩვეულებრივი ზღაპარს იწყებენ და სინამდვილეში, მათ მუშების სასარგებლოთ არაფერი გაუკეთებიათ—ეს აშკარაა. ამას მენშევიკების დროსაც ვამბობდით და ახლაც ამას ვიმეორებთ.

მენშევიკების შემდეგ ამ საკითხმა თითქო სათანადო ყურადღება მიიქცია. განზრახვა იყო მუშები განაპირა უბნებიდან ქალაქის ცენტრში, საუკეთესო ბინებში ჩაესახლებიათ. ბურჟუაზია შიშმა შეიპყრო, ხოლო მუშები სიხარულს ეძლეოდენ, ყველა ემზადებოდა და ბარგსა და ბარხანას ახალ ბინაზე გადაატანათ აწყობდა. ერთი სიტყვით, ხმაურობა და სამზადისი დიდი იყო, ქუხილისაგან გაბრუებული ბურჟუაზია აქეთ-იქით აწყდებოდა, ეძებდა სფეროებში გადაცნობილ ნაცნობებს, დაკარგულ ნათესავებსა და გადაკარგულებულ მეგობრებს, რომ მათი დახმარებით როგორმე თავი დაეღწიათ კარზე მომდგარ უბედურებისაგან, ამდენი ვაი ვაგლახით მოწყობილ ბინებზე მუშების ჩასახლებისაგან. მართლა საბედნიეროდ, გამართლდა თქმულება—როგორც ჰქუხს, ისე არა სწვიმს.

მუშების ჩასახლება მართალია მოხდა, რამდენიმე მესაკუთრეს სავსებით ჩამოართვეს შენობები და მუშებს გადასცეს მაგრამ უმთავრესი კონტინგენტი მუშებისა, დიდი ნაწილი ისევ ძველ ბინებზე დარჩა „ორდერის“ მოლოდინში... და ამ ლოდინშია დღევანდლამდე. რომ ნათქვამი ცარიელ სიტყვებათ არ ჩამოგვართვან, იძულებული ვარ ვიმოწმო ამხ. ქელბაქიანის მოხსენება პროფკავშირთა საბჭოში წაკითხული, სადაც განაცხადა, რომ მუშათა სახლებში მუშების ოთხი პროცენტი სცხოვრობსო. ამხ. ქელბაქიანს, ამ შემთხვევაში, არ შეგვიძლია არ ვენდოთ, მიუხედავათ, იმისა რომ მე როგორღაც მეეჭვება მის მიერ ნაჩვენები ოთხი პროცენტი, რაიც გასაგებ ენაზე რომ გადავთარგმნოთ, გავიგებთ, რომ ასი მუშიდან მხოლოდ ოთხი კაცი სარგებლობს ხეირიანი ბინით... ეს ისეთი უმნიშვნელო რამეა, რომ არა მგონია ვინმეს იმდენი თავხედობა შესწევდეს განაცხადოს—მუშები ბინის მხრივ უზრუნველყოფილი არიანო; მუშებს რა გიშავთ, შეგვჯიბქით ზურგზეთა სულსა ეცხებითო. ეს რა თქმა უნდა. ფაქტიური თვალთმაქცობაა მუშების მოწინააღმდეგე ხალხის მიერ მოგონილი რაც არის გაღმა გაედავონ, რომ გამოღმა შერჩეთ..

მართალია რაც ამდენხანს გაკეთდა ბინის საკითხში, ეს მეტად მცირეა, მხოლოდ ერთი წვეთია მუშების საჭიროების ოკეანეში, მაგრამ ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რასაკვირველია, ამაზე არ შევჩერდებით. თუ დღევანდლამდე ოთხი პროცენტი დაკმაყოფილდა, ხვალ ოთხს ოთხი მივუმატოთ, ზეგ კიდევ ამდენი და ასე ნელ-ნელა თვალსაჩინო გაუმჯობესებას მივაღწევთ. მაგრამ ნუ მოვიტყუებთ თავს და ნუ ვიტყვით, თითქოს შესაძლებელი იყოს ყველა მუშების კარგ ბინებში ჩასახლება, ყველაფერს საზღვარი აქვს და ჩასახლებასაც, რასაკვირველია, მთელი ათი წელიწადია ტფილისში არც ერთი ახალი

*) შემდეგი იხ. „ტრიბუნა“ № 243.

სახლი არ აშენებულა, პირიქით მრავალი შენობა გაფუჭდა და დაინგრა. ამავე დროს მცხოვრებთა რიცხვი თვალსაჩინოთ გაიზარდა და ბინებში თავის-თავად, ბუნებრივად მოხდა შემჭიდროება ისეთ პირობებში, რა თქმა უნდა მეტად ძნელი, თითქმის შეუძლებელია მუშებისთვის კარგი ბინების ამორჩევა და ჩასახლება. მეორეს მხრით მუშათა ძველი ბინები დროთა მსვლელობის მეოხებით კიდევ უფრო გაუარესდენ, რადგან მათ, შეკეთებაზე არავის უფიქრნია და რაც დრო გავა, მით უფრო შეუძლებელი გახდება ამ ბინებში ცხოვრება.

ცხადია უნდა გამოვნახოთ სხვა, უფრო რადიკალური ღონისძიება, რომ მუშები კარგი ბინების მხრივ უზრუნველყოთ. ასეთ ღონისძიებათ ჩვენ მიგვაჩნია ქალაქის თავისუფალ მიწებზე ახალი სახლების აგება, სპეციალურად მუშებისათვის. ეს საქმე მეტად რთული და ძნელია, მაგრამ რაც უნდა დაგვიჯდეს ყოველივე სიძნელე უნდა დავსძლიოთ მუშათა კლასის საკეთილდღეოთ. ამ საქმეში უნდა გაერთიანდეს სახელმწიფო ქალაქის და მუშათა ორგანიზაციები და თვით მუშების შრომის ფართოთ გამოყენებით შევუდგეთ მუშათა სახლების შენებას. თუ როგორ უნდა მოეწყოს ეს დიდი საქმე, საიდან დავიწყოთ ან რა გეგმით უნდა სწარმოებდეს მუშაობა, ყოველივე ეს ჩემი დღევანდელი წერილის მიზანს არ შეადგენს. მე მხოლოდ იმაში ვარ დარწმუნებული, რომ თუ მოვინდომებთ და სათანადო ორგანოები გულით მოეკიდებიან საქმეს, მიზანს უეჭველად მივაღწევთ, რითაც საბოლოოდ გადაიჭრება მუშების კარგი საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის საქმე. ჩვენ მეტად გვახარებს ის გარემოება, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ მეტად ბევრი გააკეთა აღმშენებლობისა და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების საქმეში. მთელი რიგი სარწყავი არხების გაყვანა, მდინარეების ნაპირების გამაგრება და ბოლოს ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის შტო, ყველაფერი ეს დიდი საქმე არის და დიდათ წასწევენ წინ ჩვენს სასოფლო მეურნეობას. ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ და დაწყებული მუშაობა კიდევ უფრო გავაძლიეროთ. დარწმუნებული ვარ, ყოველი კეთილსინდისიერი მოქალაქე, ყველა მუშა და გლეხი მხარში ამოუდგება ისეთ მთავრობას, რომელიც საქმით ემსახურება ქვეყნის ეკონომიურად აღორძინებას. მუშათა სახლების აშენებაც, ეჭვი არ არის, ამ დაწყებულ მუშაობის პროგრამის ერთი მუხლთაგანია და მის განხორციელებას მთელი ჩვენი ძალღონით უნდა ვცდილობდეთ.

ვფიქრობთ, ამ საქმის ინიციატივა ქალაქმა უნდა იდვას თავის თავზე *) და სხვა დაწესებულებებიც დაეხმარება. მართალია ქალაქს დღეს ბევრი სხვა საქმეებიც აქვს გასაკეთებელი, ისიც მართალია რომ უსახსრობა მას ხელს უკრავს და საქმეს უშლის, მაგრამ მუშათა სახლების აშენება იმდენად დიდი საქმეა, რომ უსახსრობამ არ უნდა შეუშინდეს და საქმეს დაჩქარებით მოჰკიდოს ხელი.

სხვა გვარად საქმის გადაწყვეტა, მუშების მოთხოვნილების სხვა გზით და საშუალებით დაკმაყოფილება დღევანდელ პირობებში ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია. და ვისაც მუშებისათვის ნამდვილად შესტკივა გული, ვისაც ნამდვილად სურს საქმით ემსახუროს მუშათა საქმეს, მან უეჭველად ჩვენი აზრი უნდა გაიზიაროს და სიტყვებიდან საქმეზე უნდა გადავიდეს.

ი. ტო—ძე.

*) ეს აზრც მოხდა და ტფილისის აღმასკომის კომუნ. მეურნეობის განყოფილებამ უკვე აღძრა ეს საკითხი პროფკავშირებში, რომლის ანგარიში უკვე იყო მოყვანილი ჩვენ გაზეთში. სასურველია აღ. მუშებმა მას ყურადღება მიაქციონ და გამონახონ პრაქტიკული საშუალებანი. რედ.

# ესერების პროცესი

მოსკოვი. 12 ივლ. 11 ივლისის დილის სხდომაზე, მოწმე ფილიპოვსკი, რომელიც მუშაობდა შავი ზღვის რაიონში, როგორც ესერების ცეკას წარმომადგენელი, იძლევა შემდეგ ჩვენებას: შავი ზღვის რაიონის გლეხობის არალეგალურმა ყრილობამ ამოირჩია „შავი ზღვის განთავისუფლების კომიტეტი“, რომელმაც საჩქაროდ შეადგინა დიდი სამხედრო რაზმები დენიკინელების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ფილიპოვსკი ახასიათებს ესერების მუშაობას შავი ზღვის რაიონში, როგორც დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლას და აცხადებს, რომ შემდეგ „განთავისუფლების კომიტეტის“ წევრები ურჩევდნენ გლეხობას თავის დანებებით საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლებისათვის. ფილიპოვსკი ამბობს, რომ მაშინ კომიტეტის წევრებს დემოკრატიის შორის მხოლოდ იდეური ბრძოლა მიაჩნდათ შესაძლებლად. „განთავისუფლების კომიტეტის“ წევრი ეგერები, შავი ზღვის რაიონში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, კომუნისტებთან ერთად ებრძოდა დენიკინს. „შავი ზღვის განმათავისუფლებელი კომიტეტის“ სათავეში იდგა პოლკოვნიკი ვორონოვიჩი, როგორც სამხედრო სპეციალისტი. თავმჯდომარის მოადგილე იყო ფილიპოვსკი. შემდეგ ვორონოვიჩი პარტიის წინაშე დანაშაულობის ჩადენისათვის გამორიცხული იქნა პარტიიდან.

კრილენკო მოითხოვს წაკითხულ იქნეს ციტატები სამღვარ-გარეთელ გაზეთ „ვოლია როსსიიდან“, სადაც დაბეჭდილია მასალა ვორონოვიჩით და მოწინავე წერილი ამის შესახებ. ვორონოვიჩის ინტერვიუში ნათქვამია, ვორონოვიჩის რწმუნებით, რომ შავი ზღვის რაიონში ბრძოლა სწარმოებდა ორი მიმართულებით, მოხალისეთა არმიისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ. გლეხურ მოძრაობას ორი მიზანი ქონდა დასახული: კომუნისტებისა და დენიკინელების ჩამოგდება.

ამ ციტატების წაკითხვის შემდეგ ფილიპოვსკი აცხადებს, რომ „შავი ზღვის განთავისუფლების კომიტეტი“ არავითარ დირექტივებს და რწმუნებას არ ღებულობდა საზღვარ გარეთიდან.

მეორე მოწმე ოსოკინი სავსებით იმეორებს ფილიპოვსკის ჩვენებას.

ტრიბუნალი გადადის ტიმბოვის გუბერნიაში ანტონოვის ბანდიტურ მოძრაობის განხილვაზე. სასამართლოს გამოძიების პირველი ნაბიჯები ააშკარავებენ ანტონოვის კავშირს ესერების ადგილობრივ ორგანიზაციებთან. თავმჯდომარე აქვეყნებს მოხსენებას ტამბოვის დელეგაციისას, რომელიც წაკითხული იყო სრულიად რუსეთის ესერების პარტიულ კონფერენციაზე 1920 წლის სექტემბერში. ამ მოხსენებაში შემდეგია ნათქვამი: 1920 წლიდან ესერების ტამბოვის ორგანიზაციამ გადასწყვიტა გადასულიყო ლეგალურ მუშაობაზე, რომელიც უმთავრესად სწარმოებდა გლეხობის შორის. მემარჯვენე ესერებმა, მემარცხენეებთან ერთად დაიწყეს უპარტიო მშრომელი გლეხობის კავშირების მოწყობა, რომელთა მიზანიც იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა. კავშირის პროგრამაში შეტანილი იყო მიწის სოციალიზაცია. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გლეხების ორგანიზაციის მოწყობა ტამბოვის გუბერნიაში წარმატებით მიმდინარეობს. მოწყობილი იქნა სარაიონო კომიტეტი 3 კაცისაგან შემდგარი—ერთი მემარჯვენე ესერი, ერთი მემარცხენე და ერთიც უპარტიო. 1920 წლის ზაფხულში მოწვეული იქმნა გლეხთა კავშირების საგუბერნიო კონფერენცია. ტამბოვის 3 რაიონი არ ახლდა და განწყობილება იყო (გამოტოვებულია უ მინდობის გამო) ..... ტამბოვის დელეგაცია მოითხოვდა პარტიულ კონფერენციას (გამოტოვებულია) . . . მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ანტონოვი, რომლის დავალებითაც (გამოტოვებულია)...

11 ივლისის საღამოს სხდომაზე კრილენკო აქვეყნებს ძალიან რიგ დოკუმენტებს, რომელიც წარმოადგენს ესერ ვორონოვიჩის ნამდვილ მიწერ-მოწერას პარიზის ადმინისტრატიულ ცენტრთან. ვორონოვიჩმა ამ ცენტრის დავალებით რამოდენიმე ხანი დაჰყო კონსტანტინოპოლში, სადაც მან მოაწყო კონტრ-საზვერვო ორგანიზაცია, რომელიც იცნობდა ჩრდილო კავკასიაში საქმის მდგომარეობას და კავკასიაში საბჭოთა ჯარების ბინადრობას. კავკასიაში იგზავნებოდენ აგენტები. ვორონოვიჩის ჯაშუშურმა ორგანიზაციამ გამოიწვია ცხოვრები ინტერესი საფრანგეთისა და ინგლისის კონტრ მზვერავების, რომელნიც სიამოვნებით სარგებლობდენ ამ ცნობებით.

ამ დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ, მრავლდიბული (ავარი დამახინჯებულია) აკეთებს განცხადებას, რომ ესერების პარტიის ცეკა არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს თავის თავზე და რომ იგი პასუხს აგებს მხოლოდ საზღვარ გარეთულ დელეგაციის შესახებ, რომელშიც შედიოდენ რუსანოვი, რუბანოვიჩი, სუხომლინი და ზენზინოვი.

პიატაკოვი კითხულობს ციტატას ესერების გაზეთ „ვოლია როსსიიდან“ რომელიც დაწვრილებით იხსენიებს ვორონოვიჩის მუშაობას. საზღვარ გარეთულ ესერებმა ვორონოვიჩს მიანდეს მემორანდუმის შედგენა შავი ზღვის რაიონის მდგომარეობის შესახებ (გამოტოვებულია) აცხადებს, რომ „[illegible] სია“ არ არის [illegible] ორგანო პარტიისა [illegible] [illegible] პასუხისმგებლობა ამ გაზეთში მოთავსებულ წერილების შესახებ. ტიმოფეევი აცხადებს, რომ იგი უკმაყოფილო იყო გაზეთის ფიზიონომიით და სურდა გაზეთისათვის მოეხსნათ სახელწოდება. პიატაკოვი აქვეყნებს ჩერნოვის პასუხს, სადაც ეს უკანასკნელი კატეგორიულად წინ აღუდგა არის გაზეთში პარტიულ სახელების მოხსნისა.

მცირეოდენი შესვენების შემდეგ კრილენკო იწყებს ახალი დოკუმენტების გამოქვეყნებას. (დასასრული არ არის მიღებული).

# ჰააგის კონფერენცია

ზორდო, 12 ივლისი. გაზ. „ტაიმს“ ცნობით, 12 ივლისს უნდა შემდგარიყო კერძო საკუთრების და კრედიტების კომისიების სხდომა რუსეთის წარმომადგენლებთან ერთად. ამ სხდომაზე უპირველეს ყოვლისა უნდა გაერკვიათ საკითხი განზრახული აქვს, თუ არა საბჭოთა მთავრობას იცნოს ყოფილ მესაკუთრეების უფლებები.

ლების მიღება არა რუსული კომისიის წარმომადგენლებს უფლება ეძლევათ რუსეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღწეული იქნება სრული თანხმობა არა რუსულ კომისიებს შორის ამა თუ იმ საკითხზე. ყოველი დელეგაცია ვიდრე რუსეთს მისცემდეს რაიმე შეკითხვას, მანამ შეკითხვის შინაარსი უნდა გააცნოს კომისიის თავმჯდომარეს. ყოველივე ეს—აღნიშნავს „როტე-ფანე“—დაიმსხვრევა მაშინვე, როდესაც დაისმება საკითხი ეკონომიური ხასიათის ურთიერთობის რუსეთთან. გაზეთის აზრით, უთანხმოება სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო გამოაშკარავდება ნავთის საკითხის გარშემო.

ნავთი ხწყვეტს ყოველივეს

ბერლინი, 26 ივნისი. როგორც გადმოგვცემს „როტე ფანე“ ჰააგის კონფერენციის არა რუს დელეგატთა შორის არის მოლაპარაკება რუსეთის წინააღმდეგ მთლიანი კაპიტალისტური ფრონტის შექმნისა. ამ მოლაპარაკებას ჯერჯერობით მოყვა შემდეგი გადაწყვეტი

# გერმანიის ამბები

**კანონ-პროექტი რესპუბლიკის თავდაცვის შესახებ.**

ნაუენი, 12 ივლ. რესპუბლიკის დაცვის კანონპროექტის მეორე წაკითხვის დროს ბავარიის პრემიერმა განაცხადა, რომ მისი მთავრობა ხედავს დაბრკოლებას ამ კანონ-პროექტის მიღებისათვის. ამის გამო და პოლიტიკურ პარტიათა შორის გაღრმავებულ გათიშვის გამო, მდგომარეობა მეტად გართულებულია.

ბორდო, 12 ივლ. რეიხსტაგმა გადასცა იურიდიულ კომისიას სასწრაფოდ განსახილველად კანონ-პროექტი მოხელეების ვალდებულებათა შესახებ რესპუბლიკის დაცვის დროს.

ლანდტაგმა რესპუბლიკის დაცვის კანონ-პროექტის განხილვა გადასდო 27 აგვისტომდე.

**ამნისტია.**

ბორდო, 12 ივლ. პრუსიის ლანდტაგმა მიიღო კანონ-პროექტი ამნისტიის შესახებ.

**ამერიკელი ფინანსისტები გერმანიაში.**

ნაუენი, 12 ივლ. ჰამბურგის გაზ. „ფრემდენბლატი“ იტყობინება, რომ ამერიკელი ფინანსისტები ადგებიან იმ აზრს, რომ გერმანიის კოალიციონურ მთავრობის ხასიათის შეცვლა, მის შემადგენლობაში დამოუკიდებელ სოციალისტების დაშვებით, იქნება დამაბრკოლებელი სესხის ყველა პროექტების განხორციელებისათვის.

# ლოზუნგები და სინამდვილე

არსებობს, როგორც ისტორიული მოვლენები და ფაქტები, აგრეთვე ისტორიული ლოზუნგებიც. კაცობრიობას არა ერთხელ გაუმეორებია ოჰენის ცნობილი ლოზუნგი „ცდა საგრძნობის გარდაქმნისა გონიერ ქვეყნად“. მრავალჯერ თქმულა „La proriete c' est le vol?“ კიდევ უფრო მრავალჯერ განმეორებულა „Laisser faire, laisser passer“ „ძმობა, ერთობა, თანასწორობის“ იდეაც პლატონის სიუკუნეთა სიღრმეში აღმოხეთქილა, მაგრამ დღესაც ეს მშვენიერი და წირმინდა ლოზუნგები სინამდვილეთ არ ქცეულა, ცხოვრებაში არ განხორციელებულა.

არა თუ ლოზუნგები, არამედ სინამდვილეთ ქცეული იდეალური წყობაც კი ხშირად ეფემერული და წარმავალი აღმოჩენილა ხოლმე, როგორც ეგივე ოუენის საზოგადოება ამერიკაში ან სენ სიმონის „საზოგადოება“ საფრანგეთში, რომელიც ისტორიის ლოღიკას გაუწონია და სოციალ ძალთა სრბოლას შთაუნთქავს.

ლოზუნგები და იდეალები არ შეიძლება მივიღოთ, როგორც უაზრო და უნაყოფო ლაყბობა. როდესაც სიტყვა, ლოზუნგი, იდეალი, ამოძრავებს ხალხს, ერს, საზოგადოებას, მაშინ იგი უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია და განუზომელი ღირებულების მქონე. სოციალური ცხოვრება მექანიური თეორიის რეცეპტით კი არ მიმდინარეობს, არამედ თავისი ცოცხალ კანონებით, რომელშიაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა სწრაფვას იდეალისაკენ, მის ბრძოლას განსაზღვრული მიზნისაკენ.

თანამედროვე ხანა ერთი უდიდესი ეპოქაა ლოზუნგებისა, იდეალებისა და ამ იდეალებისათვის გამართულ ბრძოლისა. იდეალებისათვის თავგანწირული ბრძოლა კიდევ არ არის საკმაო გარანტია სოციალური კატაკლიზმისათვის, რომელიც შთანთქავდა მიუღებელ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას. ბრძოლა იდეალებისათვის მაშინ აღწევს განადგებას, როდესაც დასახულ იდეათა რეალიზაციისათვის არსებობს ობიექტიურ-სუბიექტური პირობები საზოგადოებრივი ცხოვრების წიაღში.

როგორია ამ მხრივ დღეს ურთიერთობა ლოზუნგებსა, იდეალებსა და სინამდვილეს შორის? როდის განხორციელება სოციალისტური ლოზუნგები?

სოციალისტური აზროვნების და მოძრაობის წარმომადგენელნი სოციალიზმის მოახლოვების ხანას სხვა და სხვაგვარად სახავდნენ.

ბაკუნინის აზრით სოციალიზმი უნდა განხორციელებულიყო მე 19 საუკუნეში. კროპოტკინიც შესაძლებლად სცნობდა ასეთი მომენტის დადგომას მე 19 საუკუნეში. ჩერნიშევსკის აზრით 100 ან 150 წელი შეიძლება იყოს დაშორებული სოციალიზმამდე, ფრ. ენგელსი კი სოციალიზმს მოელოდა 1898 წ—ში. ხოლო ბებელს მისი განხორციელებით იმედი ქონდა მე 80 წ—ში. როგორც დავინახეთ მოლოდინი წინასარმეტყველთა (ჯერ ჯერობით გარდა ჩერნიშევსკისა) არ გამართლდა. ეს არც საკვირველია.

საზოგადოებრივი ცხოვრების მათემატიკური სისწორით აღდგომა ჯერ ვერ უკისრია ვერც ერთ მეცნიერებას. სტატისტიკა თქვენ მოგცემს ეგების თეორიით გამტკიცებულ შესაძლებლობათა სურათს, მაგრამ რაც შეეხება ის მუცილებელი არ არის.

დღესაც კი, როდესაც კაპიტალისტური მეურნეობის დეგრადაციის პროცესი უკვე თეორეტიული ფანტაზია კი არ არის, არამედ ისტორიული ფაქტი, დღესაც შეუძლებელია იმის თქმა თუ როგორი ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს ლოზუნგებსა და სინამდვილეს შორის ამ ახლო მომავალში.

რუსეთით დაწყებულმა რევოლიუციონურმა მოძრაობამ მეტად ოპტიმისტური დიაგნოზი დაუსვა თავის განვითარებას და რევოლიუციის შესაძლებლობას ევროპისა და აზიის მაშტაბით. მაგრამ ჯერ ჯერობით ოპტიმისტური დიაგნოზი არ გამართლდა. „ნახტომით“ სოციალიზმში გადასვლა შეუძლებელი შეიქნა, მაგრამ რევოლიუციონური ქვეყნების არსებობა კი შესაძლებელი გახდა. ეს არ არის საკვირველი. შრომისა და კაპიტალის ბრძოლა, რომელმაც უნდა დაასრულოს კაპიტალიზმის დეგრადაციის პროცესი დიდი ისტორიული მოვლენაა, რომელიც ერთ ორ დღეს არ დამთავრდება.

დღევანდელ ეპოქის ლოზუნგთა რეალიზაცია საუკუნოების საქმეა და არა დღეების, წლების. მიუხედავად ამისა რევოლიუცია უმთავრეს მიზნად უნდა ისახავდეს რაც შეიძლება ლოზუნგი დაახლოვოს სინამდვილეს, განადგოს და განამტკიცოს იგი, მისცეს მას სიცოცხლე და არსებობის საშუალება.

საფრანგეთის რევოლიუციის დროს, დროებითმა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი, რომელიც „შრომის უფლებას“ აძლევდა ყველას, მაგრამ ამ დიდი ლოზუნგის უსწორო გატარებამ და ეგ. წოდ. „ნაციონალურ სახელოსნოებში“ მუშათა ხელფასის დარიგებამ, რომელმაც არაერთ გზით პენსიის ხასიათი მიიღო, უძმად ჩაიარა, რასაც შედეგად მოჰყვა პარიზის მუშების აჯანყება.

ეს ერთი ისტორიული ფაქტია იმ გარემოების აღსანიშნავად, რომ საჭიროა გაკვეთილების დახსომება და ისეთი ლოზუნგების წამოყენება, რომელიც შესაძლებელია ნაწილობრივად მაინც განადგეს ცხოვრებაში.

რევოლიუციის პროცესში უშუალო კავშირი ინახება თეორიისა, იდეალისა და პრაქტიკასა და სინამდვილეს შორის. თუ თეორიულ მაღლობზე გადმომდგარი ლოზუნგების რეალიზაცია არ მოხდა პრაქტიკულ დაბლობში, რევოლიუციის გზა იმ თავითვე მოკვეთილია და იგი ვერ მიაღწევს თავის დანიშნულებას. ხალხი ვერ გაიგებს რევოლიუციის მნიშვნელობას ლოზუნგებითა და დეკლარაციით, მისთვის საჭიროა სიტყვა კი არა საქმე და სინამდვილე.

რუსეთის რევოლიუციამ ჯერ ჯერობით ვერ შეძლო ეკონომიურ სფეროში ლოზუნგების განადგება და იგი უკან დაიხია, ეს უკან დახევა დიდი ნაბიჯია უკან, მაგრამ თუ პოლიტიკურმა ძალაუფლებამ შეძლო იმ ხალხის, მშრომელი მასის ინტერესების უზრუნველყოფა, რომელმაც ეს ძალა-უფლება აიყვანა პოლიტიკურ სიმაღლეზე, იგი მაინც შესძლებს ნაწილობრივად რუსეთის რევოლიუციის ლოზუნგთა განადგებას.

მეორე მხრივ საბჭოთა რუსეთმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ეროვნული ხასიათის ლოზუნგთა განხორციელებას სინამდვილეში. არ კმარა, რომ რუსეთის წითელი არმია კომუნიზმის დროშით შევიდეს ამა თუ იმ ქვეყანაში. საჭიროა განმათავისუფლებელი ლოზუნგების მაქსიმალური განადგება.

ჩვენში ამ მხრივ მეტად რთული პირობებია შექმნილი. ენისა და კულტურის საკითხიც კი საკამათოდ თუ არა, ყოველშემთხვევაში უკმაყოფილოდ არის სინამდვილეში უარყოფითად გადაჭრილი. გაერთიანების ტენდენცია ემჩნევა ყოველ დარგს და ნივთიერი რესურსების უთანგარიშო განაწილებასაც ადგილი აქვს ფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა შორის. ამ შემთხვევაში ირღვევა არა მარტო იურიდიული ნორმები, არამედ სამეურნეო პრინციპიც აზ. ეკონ. პოლიტიკის.

ყოველივე ეს რაც სინამდვილეში ხდება სრულებით არ ეგუება იმ დიად ლოზუნგებს რევოლიუციისა, რომელსაც ესოდენი თავდადებით ვემსახურებით.

ქართველი ხალხი დიდიდან თავის არსებობისა იბრძოდა ეროვნულ თავისუფლების შენარჩუნებისათვის და იგი ვერასოდეს ვერ შეურიგდება მის შევიწროებას. ქართველი ხალხის ენას მრავალი უწოდებდა „ძაღლის ენას“, მაგრამ დღეს ქართველი ხალხი ნებას არავის არ მისცემს მშობლიური ენის შეურაცყოფისას, ვისგანაც არ იყოს იგი.

სინამდვილე და ლოზუნგი ჩვენ გვინდა მჭიდროდ დავაკავშიროთ და მშრომელთა ძალა-უფლებას მივცეთ ის ხასიათი, რომელიც მას უნდა ქონდეს. ამ მხრივ კი მრავალი საქმეა გამოსასწორებელი.

დღეს ხშირად ადგენენ ქართული ენის სახელმწიფოებრიობის და მის საყოველთაო ხასიათს და ამავე დროს თვით ეს დადგენილება რუსულ ენაზედ იწერება და ძირშივე ისპობა ის, რაც უნდა გაიზარდოს და აყვავდეს.

ჩვენში მით უფრო საჭიროა მეტი სიფრთხილე ეროვნულ პოლიტიკაში, რომ ჩვენი ქვეყანა მთელი საუკუნის განმავლობაში იტანჯა მძიმე უღელს რუსეთის იმპერიალიზმისას და დღესაც არ არის სავსებით აფხვრილი ამ პოლიტიკის შედეგები. დღესაც ჩვენი ეროვნული სხეული იარებით არის დასერილი რუსულ იმპერიალიზმის წყალობით და ამიტომ რევოლიუციონურმა რუსეთმა უნდა შესძლოს მის წინაპართა ველური საქმიანობის გამოსწორება და მაქსიმუმი ეროვნული თავისუფლებისა უნდა იქნეს დაცული.

ქართული ჯარის საკითხი კვლავ საკითხად არის ჩვენს წინაშე—და დღემდე არ მოხერხდა ჯარის შექმნა, რომ რუსეთის წითელი არმია განვათავისუფლოთ სამსახურისაგან.

ერთი სიტყვით ჩვენში ლოზუნგებსა და სინამდვილეს შორის დიდი მანძილი რჩება. ეს კი უდიდესი უბედურებაა, როგორც ეროვნული, ისე რევოლიუციონური თვალსაზრისით.

დღეს კვლავ სამასლაათო საგანი აქვს ევროპის იმპერიალისტებს და მათ ერთ გუნდ მუშაკთა მენშევიკებს, რომ საქართველოში სდგას წითელი არმია და იგი არის ქვეყნის ბატონ პატრონი.

ჩვენ კი ეხლა მაინც დროულად მიგვაჩნია, რომ დაძლეულ იქმნეს ყოველივე დაბრკოლება, იმის ნათელ-საყოფად, რომ საქართველოს ბედი ქართველ მუშასა და გლეხს უპყრია ხელში და აქ უნდა იბატონოს ქართულმა ენამ ქართულმა კულტურამ.

ლოზუნგები უნდა განადგეს სინამდვილეში, თორემ ლოზუნგები სინამდვილეთ ვერ გახდება.

სერ. ამაღლობელი.

### გერმანიის მარკის კურსის დაცემა.

**ნაუენი, 12 ივლ.** გაზ. „ობსერვერის“ აზრით, გერმანიის მარკის კურსის დაცემა არ შეიძლება მიეწეროს ხელოვნურ მახინაციებს, რომელსაც მიზნად აქვს ვალდებულებათა შესრულების ვადის გადადება. გაზეთი მარკის კურსის დაცემაში დამნაშავედ სთვლის არა დებიტორებს, არამედ კრედიტორებს, რომელთაც გერმანია ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მიიყვანეს მის ეხლანდელ მდგომარეობამდე. კრედიტორებს უნდა სცოდნოდათ, რომ მხოლოდ ნდობის ნიადაგზე შეიძლება დამყარდეს ურთიერთობა ნაციათა შორის ისე, როგორც ცალკე პირთა შორის.

### რატენაუს მოკვლის გამო.

**ნაუენი, 12 ივლ.** გერმანიის პოლიცია კვალდაკვალ სდევნის რატენაუს მკვლელებს და იმედოვნებს შეიპყროს ყველანი ამ რამდენიმე დღეში.

### მორატორიუმი.

**ნაუენი, 12 ივლ.** გაზ. „პტიპარიზიენის“ ცნობით, საკონტრიბუციო კომისია გადასდებს თავის პასუხს გერმანიის მორატორიუმის შესახებ მანამ, სანამ გარანტიათა კომისია არ წარმოადგენს თავის მოხსენებას. გაზეთი ფიქრობს, რომ საკონტრიბუციო კომისია დაჟინებით მოსთხოვს გერმანიას ივლისის ნაწილის გადახდას.

### ოპელნეში.

**ბორდო, 12 ივლ.** გერმანიის ხელისუფლება შეუდგა ქალაქ ოპელნეს მართვა-გამგეობას.

### სტამბის მუშების გაფიცვა.

**ბორდო, 12 ივლ.** სტამბის მუშების გაფიცვა ბერლინში დამთავრდა.

### გერმანიის კაბინეტის კონსტრუქცია.

**ბორდო, 12 ივლ.** მეუმრავლესეთა სოციალისტები საბოლოოდ წავიდნენ მემარჯვენეთა პარტიასთან თანამშრომლობის წინააღმდეგ და ფიქრობენ ითანამშრომლონ დამოუკიდებელ სოციალისტებთან.

### ბერლინში.

**კრაუდენი, 12 ივლ.** გაზ. „ტაიმსის“ ინგლისელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ სტამბის მუშათა გაფიცვის და რეიხსბანკის მიერ უცხოეთის ფულის მარკის მსხვილ კუპიურებზე არ დახურდავების გამო, ბერლინში ადგილი ჰქონდა ასეთ სცენებს: ამერიკელი და ინგლისელი მოღვაწეები, რომელნიც თავის ფულებს სცვლიდნენ მარკებზე (20 მარკიანი კუპიური) დადიოდნენ ქუჩებში მუშების თანხლებით, რომელთაც მიჰქონდათ საკრედიტო ბილეთების მთელი ტვირთი.

### შეკავშირება საფრთხის წინაშე.

**ბერლინი, 29 ივნისი.** გერმანეთის ყურადღების ცენტრს დღეს შეადგენს ორი დიდი გარემოება: 1. განხორციელება 48 საათის განმავლობაში პროლეტარიატის მთლიანი ფრონტის, 2. უკიდურესი გამწვავება შინაური კრიზისის. უმთავრესი პუნქტი მოთხოვნილებისა, რომელიც წამოაყენა გუშინ პროფკავშირებმა და სამმა მუშათა პარტიამ, მდგომარეობს შემდეგში: მკაცრი სასჯელი მონარქისტული და ანტირესპუბლიკანური აგიტაციისათვის, დაუყოვნებლივ დაშლა ანტირესპუბლიკანური ორგანიზაციების, აკრძალვა მონარქისტული დროშებისა, გაწმენდა სახელმწიფოებრივი დაწესებულების, აგრეთვე რეიხსვერის ანტირესპუბლიკანური ელემენტებისაგან, დაარსება ბერლინში საგანგებო ტრიბუნალის. მოწოდება ამასთანავე მოითხოვს ამნისტიას ყველა დატუსადებულ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის, უკიდურესი მემარჯვენის გამოკლებით. ასეთივე ამნისტიას მოითხოვენ რკინის გზელებისათვის, რომელნიც არიან მიცემულნი დისციპლინარულ სასჯელში. დამოუკიდებელთა ცენტრალური კომიტეტი თავის მოწოდებაში პარტიის წევრთა მიმართ, აღნიშნავს, რომ აუცილებელია მთლიანი ფრონტის შენახვა, რომ მიღწეული იქნეს პროლეტარიატის მთლიანი მოთხოვნილებანი. „ფორვერტსი“ ამ შემთხვევაში ლაპარაკობს ენერგიული ხმით და მიუთითებს ყველა სოციალისტურ პარტიათა და მუშათა წესების განწყობილებაზედ, აგრეთვე სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციების ყოველ მხრიდან მოსულ მოთხოვნაზედ რეიხსტაგის დაუყოვნებლივ დათხოვნის შესახებ, აგრეთვე აფრთხილებს ბურჟუაზიულ პარტიებს, რომ მათ მშიშრულად უკან არ დაიხიონ რეიხსტაგში გადამწყვეტ კენჭის ყრის დროს—ახალი კანონის შესახებ, რომელიც შექმნილია რესპუბლიკის დასაცავად.

### ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების მოთხოვნილება.

**ბერლინი. 29 ივნისი.** „ფორვერტსი“ ბეჭდავს ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების ცენტრალური ორგანოს კომიტეტების მოთხოვნილებებს. ეს მოთხოვნილებები მიდის უფრო შორს, ვიდრე პროფკავშირთა და სამი მუშათა პარტიის მოთხოვნილებები. ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები ავალებენ მუშათა ორგანიზაციებს განსაზღვრულ მოვალეობას: თუ კი მთავრობა უარს იტყვის მათ მოთხოვნებზე იძულებული გახადონ იგი გადადგეს და საერთო ძალებით შექმნან მუშათა მთავრობა არჩევნებში შეკავშირებით გამოსვლის პირობით.

### მთავრობის კრიზისი.

**ბერლინი. 29 ივნისი.** ბურჟუაზიული პრესა დიდი აღშფოთებით არკვევს საკითხს რეიხსტაგის დათხოვნის შესახებ. მთავრობის კრიზისი, დამოუკიდებლად პროლეტარიატის მთლიანი მოთხოვნილებისა, შესაძლებელია შეიქმნეს ყოველ წუთში, როგორც შემდეგი, ყოველთვის მოსალოდნელ ქვორუმის შეუდგენლობისა, რესპუბლიკის დაცვის შესახებ მთავრობის კანონ-პროექტის კენჭის ყრის დროს, ან და როგორც შედეგი ხორბლეულობის გადახდის შესახებ საკითხის არა ჩვეულებრივად გამწვავების გამო. სტინესის ორგანოები უკვე წინდაწინვე აცხადებენ, რომ ბურჟუაზია არავითარს შემთხვევაში არ დაუმორჩილებს „სოციალ-დემოკრატიის დიქტატურას“. „ფორვერტსი“ განაგრძობს მტკიცებას ახალი არჩევნების აუცილებლობის შესახებ, დამოუკიდებლებთან გაერთიანებასა და მათი დამოუკიდებლების მთავრობის კოალიციასთან შეერთების შესახებ, ვირტის კაბინეთის მემარცხენე ფრთის გაძლიერებისათვის.

## უცხოეთი

### პალესტინაში.

**ბორდო. 12 ივლისი.** არაბეთის დელეგაციამ, რომელიც პალესტინიდან ლონდონში ჩავიდა და ინახულა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრი, განაცხადა პროტესტი მანდატის წინააღმდეგ. დელეგაციამ ამავე დროს მიმართა მოწოდებით ბრიტანეთის ხალხს.

### კილაში.

**კრაუდენი. 12 ივლისი.** საზღვაო არსენალ კილაში, სადაც ინახება დიდძალი იარაღი, აღმოჩენილია 46 ტყვიისმფრქვეველი უცნობი კონსტრუქციისა, რომელიც არც არსად არის ჩაწერილი და ვერც ინგლისის საზღვაო ხელისუფლება იცნობს მას.

### ვანდერველდე საბჭოთა რუსეთის შესახებ.

**ვარშავა. 30 ივნისი.** დაბრუნდნენ რა ივნისის 24-ს ბრიუსელში, ვანდერველდემ და ვოტერსმა გაუზიარეს სადგურზე მათ შესახვედრად მოსულ ჟურნალისტებს დაწვრილებითი ცნობები ესერების პროცესისა და მოსკოვის ყოფა-ცხოვრების შესახებ. ვანდერველდეს განცხადებანი საერთოდ საკმაოდ ობიექტურია. საბჭოთა მთავრობა, განაცხადა ვანდერველდემ, არის ერთად-ერთი მთავრობა რუსეთში, რომელსაც შეუძლია შექმნას ძალა რეაქციისა და ანარქიის წინააღმდეგ. მე არ მინდა ამით ვსთქვა, რომ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ არ იდგნენ სხვა მისი მოწინააღმდეგე ძალები, მაგრამ მათმა უმთავრესმა მოწინააღმდეგეებმა ყოველგვარი გავლენა დაჰკარგეს მხარეში. ძველი პარტიები (ესერების, მენშევიკების, და სხვ.) იწვევენ საერთო მღელვარებას. გლეხებს, რომლებმაც მიიღეს მიწები, ეშინიათ, რომ არ წაართვან ის. მე შესაძლებლათ მიმაჩნია,—განაცხადა დასასრულ ვანდერველდემ, რომ ბოლშევიკების მთავრობას შეუძლია განმტკიცდეს, თუ ისინი გამოიცვლიან თავიანთ პოლიტიკას ეკონომიური მოთხოვნილებების ზეგავლენით“.

### ოსმალეთის და ნაციათა ლიგა.

**კონსტანტინოპოლი.** სომხური გაზეთი „ჯოღოვურდი ძაინი“ იტყობინება, რომ კონსტანტინეპოლში დაბრუნდა დროებითი ზავის კომისიის თავმჯდომარე ეხტემ-ბეი და კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტის საერთაშორისო უფლების პროფესორი ჯუმალ-ბეი, რომელნიც წასულნი იყვნენ პრაგაში და შუამდგომლობდენ იმ სახელმწიფოების კონფერენციის წინაშე რომელნიც არიან ნაციათა ლიგის ნამდვილი წევრები. ამ კონფერენციის შემადგენლობაში ოსმალეთის შეყვანის შესახებ გაზეთს მოჰყავს შემდეგი განცხადება, რომელიც გაუკეთა ეხტემ-ბეიმ ჟურნალისტებს. „კონფერენცია გაიხსნა პრაგაში 3 ივნისს. კონფერენციაზე ჩვენი დაშვების საკითხი დადებითად იქნა გადაწყვეტილი, მიუხედავად საბერძნეთის წარმომადგენლების პროტესტისა. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული უმცირესობის უფლებების დაცვის საკითხს, „ჩვენის მხრივ ჩვენ წარუდგინეთ კონფერენციას საქიერო ცნობები ოსმალეთში ნაციონალურ უმცირესობათა უფლებრივ მდგომარეობის შესახებ. ჩვენი განმარტებანი დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი.

ეხტემ-ბეი ფიქრობს, რომ ამ განცხადებებმა გამოარკვია ის გაუგებრობა, რომელიც არსებობდა ოსმალეთის უმცირესობიას უფლების საკითხში.

### სერჟანის დეკლარაცია.

**პარიზი** გაზ. „მატენი“ იტყობინება ბანკირთა კომისიის საფრანგეთის წარმომადგენელის სერჟანის დამატებითი დეკლარაციის შესახებ, ბანკირთა კომისიის საერთო მოხსენების გამო. ამ დეკლარაციას სერჟანი აცხადებს, რომ მას არ შეუძლია მიემხროს იმ დასკვნებს და პროექტებს, რომელსაც მოხსენება შეიცავს. ეყრდნობა რა მრავალ დაკვირვებებს, რომელიც მან მოახდინა კომისიის მუშაობის დროს, ის ფიქრობს, რომ სესხის აღების გასაადვილებლად არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება შემცირება გერმანიის მიერ საფრანგეთისათვის მისაცემ ვალებისა. შეუძლებელია, რომელიც საფრანგეთს აქვს მინიჭებული ხელშეკრულების ძალით. დასკვნაში სერჟანმა განაცხადა, რომ ბანკირთა კომისიის კომპეტენციაში არ შედიოდა გერმანიის გადახდის უნარიანობის შესწავლა და განხილვა.

## ახალი ამბები

— **ერთი ფულის ნიშანი ამიერ კავკასიაში.** ამ. კავკ. სოც. საბჭ. რესპუბლიკას ფინანსების სახალხო კომისარი შეუდგა ძირითად პრინციპებისა და ტექნიკური საკითხების დამუშავებას ამიერ კავკასიაში ფულის საერთო ნიშნების გაჩქარებით შემოღებისათვის.

— **ოსმალეთთან კონვენციის** [დადების] **შესახებ.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გაუგზავნა აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს და ახალციხისა და ახალქალაქის სამაზრო აღმასკომებს ასლი იმ კონვენციისა, რომელიც დადებულ იქმნა ს. ს. ს. რ. და ოსმალეთს შორის საძოვარი ადგილების გამო ორივე სახელმწიფოთა კონვენციის 4 მუხლის თანახმად მასში მითითებულ ზომათა გატარება მინდობილი აქვთ ადგილობრივ ძალა-უფლების ორგანოებს, რომელთაც შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მიერ დაგზავნილი აქვთ ასლები კონვენციისა სათანადო განმარტებით.

— **სამაზრო აღმასკომის ანგარიშები.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა გამოიმუშავა ინსტრუქცია, თუ როგორი ხასიათის ანგარიშები უნდა შეადგინონ აღმასკომებმა თავიანთი მოღვაწეობის შესახებ. ანგარიშები უნდა იძლეოდეს პასუხს 25 საკითხზე, რომელიც მოგვცემს სრულ მასალას სამაზრო აღმასკომების მუშაობის შესახებ და მაზრების პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე.

— **სასამართლოში მიცემა.** გამოძიების მასალებისა და ინსტრუქტორის მოხსენების გამო, რომელიც გაგზავნილ იქმნა შინაგან საქმეთა კომისარის მიერ მუხრანის თემში, თავმჯდომარე და მდივანი თემის აღმასკომისა შ. ნ. საქ. სახალხო კომისრისაგან იქმნენ გადაყენებულნი თანამდებობებიდან, და მიცემულ აღმოსავლეთ საქართველოს რევ. ტრიბუნალის სასამართლოში.

— **ტფ. ქალ. აღმასკომი.** მეცხრე წევრად აღმასკომის პრეზიდიუმისა ჯარისგან დანიშნულია აღმასკომის წევრი ამხ. დიმიტრი მილოვი.

— **მედიკო სანიტარული მმართველობა შავი ზღვის სანაპიროებისა.** დაყოფა შავი ზღვის სანაპიროების ბათუმ-გაგრისა 3 მედიკო-სანიტარული უბნად გაუქმებულია და დაარსებულია ერთი მთლიანი მედიკო-სანიტარული სანაპიროების სამმართველო, რომელიც იმყოფება ბათუმში და ემორჩილება საწყლო მედიკო სანიტარული ქვეგანყოფილებას საქ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარის სანეპიდგანყოფილებისას.

— **ხოლერა ივნისში.** 1 ივნისს ქალაქის საავადმყოფოებში სულ იყო 2 ხოლერით ავათმყოფი. ივნისის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 27, ამათგან 6 გამომრთელდა, 11 მოკვდა. პირველი ივლისისათვის რჩება 12 ავადმყოფი.

— **პარტ. ტიფი და ყვავილი.** 1 ივნისისათვის ქალაქის საავადმყოფოებში იყო პარტახტიან ტიფით 12 და ყვავილით 7. მთელი ხნის განმავლობაში 1 და 6 ივლისამდის საავადმყოფოში შემოვიდა 7 პარტახტიანი ტიფით დაავადმყოფებულნი და 2 ყვავილით, გამოიწერა 6 პარტ. ტიფით ნაავადმყოფარი და 3 ყვავილით; მოკვდა 1 პარტ. ტიფით. 6 ივლისისათვის დარჩა ავადმყოფი პარტახტიანი ტიფით 12 და ყვავილით 6. დაავადმყოფებულნი და შინ მოაქიმე იყო 1 პარტახტიანი ტიფით.

— **ჩქარი მედიკური დახმარება.** ივნისის განმავლობაში ჩქარი მედიკური დახმარების სადგურმა აღმოუჩინა 155 დახმარება, რომელთაგან სასწრაფო მედიკური დახმარება ჰქონდა აღმოჩენილი 75 შემთხვევაში და გადმოყვანილი იქმნა საავადმყოფოებში 80 ავადმყოფი. ჩქარი მედიკური დახმარების 75 შემთხვევიდან, მეტი რიცხვი უწევს მე 3 მე კომისარიატს. იყო 30 შემთხვევა, რომელთაგან 15 უწევს (დაჭრილთ) არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ჩქარი დახმარების ეტლი გასულიყო მე 12 კომისარიატში. მე 6-ე და მე 7-ე კომისარიატებში გავიდა თითოჯერ. 75 ჩქარი მედიკური დახმარების შემთხვევებში უწევს 35 დაჭრილებს, 13—მოწამლულთ 8—დამტვრეულებს, 6—გულწასულებს 4—დამწვარებს და სხვ.

— **პროფკავშირებში.** სამშაბათს, ივლისის 11 შესდგა განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამგეობის პლენუმის სხდომა. დადგენილ იქნა ისევ გაიყოს და ცალცალკე დაარსდეს განათლებისა და ხელოვნების მუშაკთა კავშირები. ხელოვნების მუშაკთა სექცია გადაკეთდეს დროებით გამგეობათ. ორივე დროებით გამგეობებმა ერთი კვირის ვადაში უნდა აირჩიონ პრეზიდიუმები. გაყოფა უნდა გატარდეს ყველა დარგში და განყოფილებებში. საერთო რჩება მხოლოდ განათლების და ხელოვნების სახელი. დეტალების შესამუშავებლად არჩეულია სამეული.

— **გორის მაზრიდან პურეულის პროდუქტების გატანის აკრძალვა.** სახალხო სასურსათო კომისარიატის დადგენილებით, ამ წლის ივლისის 10-ს თარიღით გორის მაზრიდან პურეულის პროდუქტების გატანა სავსებით აკრძალულია იმ დრომდე, ვიდრე ამ მაზრაში სასურსათო გადასახადის შეგროვება არ დასრულდება. ამის გამო გორის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეს და სამაზრო სასურსათო კომისარს წინადადება მიეცა, მიიღონ სასწრაფო ზომები მაზრის სრულიად დაკეტვისათვის. ეს დადგენილება აგრეთვე [illegible] ამიერკავკასიის რკინის გზების უფროსს თხოვნით, რათა გა[illegible] რომ რკინის გზის სადგურებმა გორის მაზრის ფარგლებში პურეულის პროდუქტები გადასაზიდად არ მიიღონ არავისაგან, გარდა სახალხო სასურსათო კომისარიატისა და გორის მაზრის სასურსათო კომისარის „ნარიადებისა“.

## სამხატვრო ქრონიკა

— **ს. ფაშალიშვილის ხალამო.** შაბათს, 22 ივლისს, ყოფილი ქართული კლუბის საზაფხულო დარბაზში გაიმართება პოეტ ს. ფაშალიშვილის საღამო ფართო პროგრამით. მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მწერლები, მუსიკოსები და სახელმწიფო ოპერის და დრამის მსახიობები.

— **ი. მჭედლიშვილის ლექსების წიგნი.** დაიბეჭდა და მოკლე ხანში გასასყიდად გამოვა ი. მჭედლიშვილის ლექსების პირველი წიგნი. წიგნი ღირება 100.000 მანეთი.

## საქართველოს ცენტრალურ აღმასკომში

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმმა ამა 1922 წლის ივლისის 7-ის სხდომაზე დაამტკიცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი—დადგენილებისა საადგილ-მამულო დავის განხილვისათვის—ერთიანი უმაღლესი ინსტანციის დაარსების შესახებ.

ამ დადგენილებით მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთაგან არსებული ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია ცნობილია როგორც ერთიანი უმაღლესი ინსტანცია მთლად საქართველოსათვის—აფხაზეთისა, აჭარისტანისა და სამხრეთ ოსეთის ჩარიცხვით. ცენტრალური საადგილ-მამულო კომისიის მოვალეობას შეადგენს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის ივლისის 27-ის თარიღითა და 62 №-ით გამოცემული დეკრეტით გათვალისწინებულ დავის განხილვა-გადაწყვეტა და საადგილ-მამულო კანონების ერთნაირი განმარტების და ცხოვრებაში გატარების უზრუნველყოფა.

დადგენილებას დართული აქვს დებულება საადგილ-მამულო დავის განხილვის წესის შესახებ. დებულების ძალით ყოველგვარი დავა, რომელიც წამოიჭრება მიწათმოწყობისა და მიწით სარგებლობის ნიადაგზე, განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს სამაზრო და ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიების მიერ. მაზრის კომისია არსდება თვითეულ მაზრისა ან სათანადო ადმინისტრატიულ ერთეულისათვის. სამაზრო საადგილ-მამულო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს მიწათმოქმედების სახალხო კომისარი მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით, ხოლო ორი წევრი მივლინებულ იქნებიან კომისიაში: ერთი—მაზრის აღმასრულებელ კომიტეტისა და მეორე იუსტიციის კომისარიატის მიერ.

ცენტრალური საადგილ-მამულო კომისია იმყოფება ქალაქ ტფილისში და შესდგება თავმჯდომარისა და ერთი მუდმივი წევრისაგან, რომლითაც ნიშნავს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი,—ერთი წევრი კი კომისიაში მუდმივი მონაწილეობის მისაღებად მიივლინება იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ.

სამაზრო საადგილ-მამულო კომისიები შეუდგებიან მიწის შესახებ საქმის გამოძიებას დაინტერესებულ პირთა და უწყებათა თხოვნის გამო და გადასწყვეტენ მას მოწინააღმდეგე მხარისაგან სათანადო განმარტების მიღების შემდეგ. სამაზრო და ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიებში საქმის განხილვის წესრიგი განისაზღვრება სახალხო სასამართლოები საქმის გარჩევისათვის დადგენილი სათანადო წესის მიხედვით.

საპელაციო საჩივრის ვადა განსა-

ზღვრულია ორი კვირის ვადით რევოლიუციის გამოცხადების დღიდან. განსაჩივრება შეტანილ უნდა იქნეს ცენტრალურ საადგილ-მამულო კომისიაში, რომლის გადაწყვეტილება დაუყონებლივ შედის ძალაში და ტარდება ცხოვრებაში, როგორც სამაზრო საადგილ-მამულო კომისიის განუსაჩივრებელი დადგენილება.

საადგილ-მამულო კომისიების მოქმედებას უმაღლეს მეთვალყურეობას უწევს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატი, რომელსაც უფლება აქვს ერთი თვის განმავლობაში დღიდან დადგენილების გამოტანისა უარყოს იგი, უკე თუ დაინახავს, რომ კომისიების გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საერთო საადგილ-მამულო პოლიტიკას. საქმე ხელმეორედ განსახილველად უბრუნდება სათანადო საადგილ-მამულო კომისიას.

ცენტრალური საადგილ-მამულო კომისიის შტატი, რომელიც წარმოდგენილ იყო დასამტკიცებლად, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად გადაეცა შტატების შემამცირებელ კომისიას განსახილველად.

# ეკონომიური ცხოვრება

**ამიერ კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების საგარეო ვაჭრობა.**

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ცნობებით საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი არის ამიერ-კავ. ს. ს. რესპუბლიკებში მაისში—1,911.828 ფ. ტვირთი, აპრილში—1,360,865 ფ. გატანილია მაისში—1,295,641 ფ. ტვირთი, აპრილში 1,143,511 ფ. იმპორტი აპრილის და მაისის თვეებში განაწილებულია შემდეგ ნაირად.

| | | მაისში | აპრილში |
|---|---|---|---|
| ბათომში | — | 1,293,155 | 747 532 |
| ბაქოში | — | 243.809 | 252,692 |
| სოხუმში | — | 5.943 | — |
| ფოთში | — | 373,922 | 360,165 |

მაისის თვეში შემოტანილია პურის ტვირთი 1.338,165 ფ. რომლიდანაც 373,923 შემოტანილია ფოთში, დანარჩენი ბათომში.

გატანა ნავთსადგურების მიხედვით შემდეგნაირად არის განაწილებული. (ფუთობით):

| | | მაისი | აპრილი |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | — | 307.693 | 65,961 |
| ბაქოდან | — | 56.154 | 42,946 |
| სოხუმიდან | — | 6,968 | 5,297 |
| ფოთიდან | — | 924.821 | 1,034,303 |

მაისის თვეში სხვა და სხვა საქონლებიდან გატანილია: თამბაქოს ფოთოლი სოხუმიდან—6,968 ფ. ბათომიდან—1,199 ფ. მარგანეცი ფოთიდან—924,821 ფ. ბათომიდან 152,928 ფ. მანქანის ზეთი —100,493 ფ. ხიზილალა—1,647 ფ. ტყავეულობა—8,807 ფ. ხავთი—45,009 წული—805 ფ. და ნოხები—3,235 ფ.

**საგარეო ვაჭრობა ივნისში.** იმავე კომისარიატის ცნობებით ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ნავთსადგურებში (ბაქოს გამოკლებით) შემოტანილია საზღვარ-გარეთიდან ივნისის თვეში 1 403.069 ფ. ტვირთი; გატანილია ამ ვე თვეში 2 129.636 ფ. აპრილში —1 295.641. შემოტანილი საქონელი შემდეგ ნაირად არის განაწილებული ნავთსადგურებში:

| | | ივნისი | მაისი |
|---|---|---|---|
| ბათომი | — | 1.066.663 | 1.292.155 |
| სოხუმი | — | 8558 | 2943 |
| ფოთი | — | 387843 | 173922 |

ივნისის თვეში პურეულობის ტვირთი შემოტანილია 1.096.006, აქედან ბათომით 701 611 ფ. შაქარი ივნისში შემოტანილია 181.737 ფ.

გატანილია საქ. ნავთსადგურებიდან:

| | | ივნისი | მაისი |
|---|---|---|---|
| ბათომით | — | 442.053 | 307.693 |
| სოხუმით | — | 10.571 | 6968 |
| ფოთით | — | 1.677 012 | 924.821 |

ივნისის თვეში სხვა და სხვა საქონლიდან გატანილია: მარგანეცი (ფოთით) 1.677,012 ფ თამბაქოს ფოთოლი (სოხუმით) 10.571; წულები—2.139 ფ. მანქანების ზეთი—356894. ნოხები—4569 ფ. ბამბა—12 628 ფ. ტყავი—4 640; ხიზილალა—676 ფ.

# კურორტი ბახმარო

საბჭოთა ხელისუფლება შეუდგა კურორტ ბახმაროს ორგანიზაციას, რომელიც დღემდე მავიწყებას იყო მიცემული. მასზე ბევრმა არ იცოდა ამიერ-კავკასიაშიც კი მაშინ, როდესაც ეს კურორტი წარმოადგენს ერთ უმშვენიერესთაგანს, თუ უკეთესს არა მთელ მსოფლიოში კლიმატიურ სადგურს მთის საუცხოვო ჰაერით, რომელიც გაჟღენთილია ფიჭვის უტეხი ტყეების სუნნელებით. ს. ს. ს. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ამ კურორტის მოწყობას.

უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს სახლების შენებას. მრავალი მათგანის ბოძები სავსებით დამპალია და მრავალი სახლიც დანგრეულია.

ამის გამო სახლები დაუბრუნეს წინანდელ პატრონებს, რომლებიც ვალდებულნი არიან პირველ ივლისამდი მოახდინონ კაპიტალური რემონტი.

ოზურგეთის მაზრის აღმასკომმა მოახდინა ნატანებ—ოზურგეთის—ვაკისჯვარის გზა-ტკეცილის რემონტი. ვაკისჯვრიდან მიდის აგრეთვე ბახმაროზე მთის გზა 25 ვერსის მანძილით.

სასწრაფოდ მიდის აგრეთვე რემონტი ჩოხატაურ—ბახმაროს გზისა, რომელიც გადის ნაბეღლავის მინერალურ წყალზე.

საერთოდ დიდი ყურადღება არის მიქცეული ბახმაროს მნიშვნელოვან ცენტრებთან შეერთებაზე. უკვე გახსნილია ვაკისჯვარა—ბახმაროს გზა მოგზაურთათვის. ვაკისჯვარიდან ბახმარომდი ბარგი და მგზავრები გადაყავთ „ჩალანდრებს“ ცხენებით,—რის საფასურად იღებენ 600.000 მანეთს, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს ძვირად.

ბახმაროს ირგვლივ მრავალი მშვენიერი საძოვარი ადგილებია, სადაც მრავლად არის ე. წ. მიწის წამალი. წინად ამ ადგილებზე არ უშვებდენ ღორებს. მაგრამ მიმდინარე წელს მოიჯარადეებმა თან ამოიყვანეს ღორები, რომლებმაც მიწის წამლის ძებნაში სულ გადათხარეს საძოვარი ადგილები, რამაც ძლიერ დააზიანა მეჯოგეები.

სახ. ჯ. კომისარიატმა მიმართა მიწად მოქმედების კომისარიატს შუამდგომლობით, რათა აკრძალულ იქნეს ღორების გარეკა საძოვარ ადგილებზე.

ბახმაროს ჰავის შესასწავლად და მუდმივი დაკვირვებისათვის მაზე ტფილისის ფიზიკური ობსერვატორია აგებს ბახმაროზე მეტეოროლოგიურ სადგურს, რომლის მუშაობას მიმდინარე წელს ხელმძღვანელობას გაუწევს პროფ. ბენაშვილი.

სატყეო მეურნეობასთან დაკავშირებული მრავალი საკითხების გამოსარკვევად და სამთო სანიტარულ დაცვის და საწყობად კურორტზე იგზავნება პროფ. ს. ქურდიანი.

ამ დღეებში მოვა ქიმიის პროფ. ი. მოსეშვილი, რომელსაც დავალებული აქვს გამოკვლევა სამკურნალო წყლების, რომლებიც მრავალია ბახმაროს მიდამოებში. აქ არის „ნარზანიც“, რკინის, ტუტე-მჟავე, გოგირდის და სხ. წყაროები.

სამკურნალოს სეზონი იხსნება 1 ივლისს, მაგრამ ჯერ-ჯერობით აგარაკზე ცოტაა ხალხი. უმთავრესად მოდიან ფოთიდან, ბათომიდან და სხვა მახლობელ ადგილებიდან, არიან მოსულები ტფილისიდანაც.

ამ დღეებში მოვა პროფ. ალადაშვილი და გოგიტიძე მედიკური პერსონალით.

კურორტზე მუშაობს ადმინისტრაცია. კურორტს აქვს ფოსტის საშვალებით ურთიერთობა ქ. ოზურგეთთან.

კურორტზე არის დუქნები, სასადილოები და სხვა. მიმდინარე წელს კურორტი უზრუნველყოფილია საჭირო სურსათ-სანოვაგით.

საბინაო საკითხის მოსაწესრიგებლად გარდა სახლების ქირის წახალისებისა დაწესებულია 1 კუბ. არშინ. საცხოვრებელ ადგილზე მაქსიმალური გადასახადი 10.000 მანეთი.

დაწყებულია 7 ოთახისაგან შემდგარი ამბულატორიის აგება მოწყობა.

# მუშათა წერილები

**საქართველოს „შევარდენის“ შესახებ**

ამ ქამად მკითხველის ყურადღება გვსურს მივაქციოთ საქართველოში არსებულ სრულიად საქართველოს ტანთ-ვარჯიშობის საზოგადოების შევარდენს.

„საქ. წითელ ახალგაზრდობის ფურცლის“ № 38-ში იხ. გაზ. „კომუნისტის“ № 147. ამხ. გ. დევდარიანი სწერს ანგარიშს ს. ა. კ. კ. მე-2 ყრილობის შედეგების და პირველი პარტიული კონფერენციის შესახებ, სხვათა შორის ამბობს: „დიდი მღელვარება გამოიწვია საქართველოში არსებულმა „სპორტ.“ ორგანიზაციამ „შევარდენის“ სახით, რომელიც ეფარება „სკაუტინგების“ დროშას და სინამდვილეში კი აქტიურად გამოდის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ (11 თებერ. 24—26 მაისამდე და სხვა) ყრილობამ კატეგორიულად მოითხოვა „შევარდენის“ გადაკეთება და მისი შევსება ს. ა. კ. კ. წევრების და პროლეტარული ნაწილით“.

რადგანაც ს. ა. კ. კ. ყრილობის კატეგორიულად მოთხოვნის და კერძოთ ამხ. გ. დევდარიანის შორის ორი აზრი არ არის და არც შეიძლება რომ იყოს, ამიტომ ჩვენ ამ შემთხვევაში პირდაპირ გ. დევდარიანთან გვაქვს საქმე შეკითხვების სახით:

როგორც ყრილობა, აგრეთვე ამხ. გ. დევდარიანი ცოტა არ იყოს საუნდოვნად და ამასთანავე ბევრად უფრო საეჭვოდ აყენებენ საკითხს, როდესაც ამბობენ, რომ ყრილობამ დაადგინა:—„გადაკეთოს“. ჩვენ ვერ გაგვიგია რას ნიშნავს ეს „გადაკეთება“ მაგ. ჩვენ შეგვიძლიან ქართული საწერი მანქანები გადავაკეთოთ რუსული შრიფტით, რის შემდეგაც ჩვენ ყოველთვის მივიღებთ ხოლმე ქაღალდზე რუსული ასოებით დაწერილ ტექსტს, მაგრამ შევარდენის გადაკეთება როგორც ასეთისა, თუ მის „გადაკეთებას“ სხვა სარჩული არ უდევს —პირდაპირ წარმოუდგენელია.

მაშ რაშია საქმე?

როგორც ყრილობა, აგრეთვე ამხ. გ. დევდარიანი ამბობს, რომ საქართველოს შევარდენი ეფარება სკაუტინგების დროშას და ამავე დროს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლებს აწყობდა და ამ გამოსვლების მომენტებს ასახელებს 11 თებ. და 24—26 მაისს. ჩვენ ვეცდებით მსჯავრი დავსდოთ ამ გამოსვლებს და ხელი არ დავაფაროთ, მაგრამ ვიდრე ამას აღვნიშნავდეთ ჩვენ გვინდა შევეკითხოთ ამხ. დევდარიანს: ამხ. დევდარიანო, განა ქართული შევარდენის რიგები 20 და 40 წევრისაგან განისაზღვრება და არა რამდენიმე ათასი წევრისაგან? და თუ ეს ასეა, კეთილი ინებეთ და გვითხარით: სად ან როდის იხილა ტფილისის ქუჩებმა თუნდა 11 თებ. 24—26 მაისს შევარდენთა „გრანდიოზული დემონსტრაცია“ და გამოსვლები? მოხდა როდესმე ტფილისში ასეთი აქტი და მათ უჩენს ზემო აღნიშნულ რიცხვებში? რასაკვირველია, არა, ამას ვერც ერთი მოქალაქე ვერ დაადასტურებს.

ჩვენ ყოველ გამოსვლების დროს, ისე როგორც კომუნისტური პრესა, აღვნიშნავდით, რომ გამოსვლების ხელმძღვანელნი ატარებდნენ ნაწილს მოსწავლე ახალგაზრდობისას და განა ამ გარემოებაში ქართული „შევარდენის“ ერთი პატარა უმნიშვნელო ნაწილი გამონაკლის შეადგენს? რასაკვირველია, რომ არა. და თუ მიუხედავად ამისა ს. ა. კ. კ. ყრილობა ფიქრობს და „შუამდგომლობს“, სადაც ჯერ არის ქართული შევარდენის „გადაკეთებას“ მაშინ გვიბრძანეთ ყრილობა რასა ფიქრობს და „ადგენს“ დანარჩენ სამოსწავლო დაწესებულებებზე და აი თუნდაც ამ შემთხვევაში ქართულ უნივერსიტეტზე? ხომ არ ფიქრობთ ამის „გადაკეთებასაც“ და თუ ფიქრობთ, საინტერესოა ვიცოდეთ როგორი „სისტემით?“

ერთი გვიბრძანეთ ამხ. დევდარიანო, რით ასაბუთებთ რამდენიმე ათასი სულისაგან შემდგარ ქართველ შევარდენების „ბურჟუაზიობას“ მაშინ, როდესაც ამბობთ, რომ „უნდა გადაკეთდეს შევარდენი“ და მისი რიგები შეივსოს ს. ა. კ. კ. წევრთა პროლეტარულ ნაწილებითაო? ნუ თუ თქვენ სერიოზულად ფიქრობთ, რომ მთელი შევარდენის ქართველი მოწაფეები „ბურჟუის“ შვილები არიან და ამავე დროს „კონტრ-რევოლიუციონერები“? ეს წმინდა უსუსური მოსაზრებაა და არავითარ შემთხვევაში სერიოზული ლოღიკით მისი მიმართულება არ შეიძლება.

არ ვიცი თქვენ მოგეხსენებათ თუ არა, რომ საქართველოში ქართული „შევარდენს“ რამდენიმე წლის ისტორია აქვს, იგი დაარსდა სწორედ იმ ხანაში, როდესაც მთელი ქართველი ხალხი როგორც რუსეთში, აგრეთვე ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ებრძოდა და იგერიებდა ყოველგვარ კონტრ-რევოლიუციას. იგი პირველად „ამირანის“ სახელწოდებით ჩაისახა, იგი თანდათანობით გაიზარდა, განვითარდა და დღეს ქართველებს როგორც ეროვნულად, აგრეთვე კულტურულად ამ „შევარდენის“ სახით ერთ დიდ პროგრესიულ საქმესთან გვაქვს საქმე და მისი „გადაკეთება“ ეს იქნება არა თუ დიდი რეგრესი ქართულ კულტურის ცხოვრებაში, არამედ ქართველები ამის ნებას არავის არ მივცემთ, ვინაიდან ქართული „შევარდენი“, ეს არის და იქნება მომავალშიც ნაშთი ქართული კულტურის სახლობისა.

კიდევ რაშია საქმე?

თქვენ ფიქრობთ, რომ ქართულ „შევარდენში“ შეპარებულია ქართული შოვინისტური სულისკვეთება, კონტრრევოლიუცია და ამის ზეგავლენით იყო, რომ 11 თებერვ., 24—26 მაისს შევარდენის რიგები საბჭ. მთავრობის წინააღმდეგ გამოვიდნენ ქუჩებში. მერე და ვინ გიდასტურებთ ამ ჭეშმარიტ ფაქტს? განა ჩვენ კი არ გვითქვამს ათას ჯერ, რომ არა თუ მარტო შევარდენი არამედ ყველა სამოსწავლო დაწესებულებებში არიან ელემენტები, რომელნიც ცდილობენ, რომ იქ გამომდინარე ახალგაზრდობა აზიარონ შოვინისტურ სულისკვეთებას და მთავრობის წინააღმდეგ გამოიყენონ? მაგრამ განა ეს გარემოება ნებას გვაძლევს, რომ მთელ „შევარდენზე“ იერიში მივიტანოთ და ერთი ხელის აქნევით ის „გადავაკეთოთ“?—კეთილი, გადავაკეთოთ, მაგრამ როგორია თქვენის გაგებით ეს „გადაკეთება“? უმჯობესი იქნება დამეთანხმოთ, რომ ამაზე ნუ ვილაპარაკებთ...

ჩვენ ვამბობთ:—„შევარდენი“ უნდა დარჩეს იმ სახით, როგორიც ის დღეს არის. მხოლოდ იმ მთავარი პირობით რომ გამოეცვალოს მას ხელმძღვანელთა რიგებიდან ის პირები, რომელნიც საეჭვონი არიან აუცილებლად უნდა გაიწმინდოს და განიკურნოს შევარდენი შოვინისტური სენიდან, უნდა მივცეთ მას სოციალისტური შეგნებით და გაგებით.—პოლიტიკური, სოციალური და პროლეტარული აღზრდილობა, რაზედაც არც ერთი „შევარდენი“ უარს არ იტყვის, პირიქით ის ხარბათ დაეწაფება ამას, ვინაიდან ასეთია მისი ბუნება.

ასე ფიქრობთ ამხ. დევდარიანო თქვენც მის გადაკეთებას? ვეკითხებით.

რაც შეეხება ქართველი შევარდენის რიგების პროლეტარულ ნაწილებით „შევსებას“ ამაზე ერთი წუთითაც არ შეიძლება არც ფიქრი და არც ლაპარაკი!—ერთი ეს გვიბრძანეთ ამხ. დევდარიანო, განა შევარდენის დაახლოვებით 10000 სულიდან, შეგნებით თუ არა მდგომარეობით მაინც პროლეტარის შვილები და პროლეტარები არ არიან? რატომ იქყურებით ასე ღრმად თავსა და გგონიათ, რომ ყველა შევარდენები ბურჟუის შვილები არიან? საიდან, ან როდის აღმოაჩინეთ საქართველოში ასეთი მრავალრიცხოვანი ქართველი ბურჟუაზია? დიახ, სამწუხაროთ, მაგრამ ასეთია გატაცებულ ახალგაზრდობის აზროვნება.

ამხ. დევდარიანო, ერთ მთავარ საკითხზე მინდა თქვენი ამხანაგური ყურადღება მივაქციო: თქვენ ამბობთ, რომ—„ყრილობაზე არა ნაკლები მსჯელობა გამოიწვია საქართველოში არსებულ შევარდენმაო“ ე. ი. როგორც ეტყობა შევარდენი ყრილობის ყურადღების საგანი გახდარა, მაგრამ, ერთი აგვიხსენით—რატომ მოხდა ის, რომ ყრილობა პირდაპირ ქართულ „შევარდენს“ დაეჯახა და გვერდის ახვევით მხედველობიდან გამოეპარა იმავე საქართველოს დედაქალაქ თბილისში არსებული სხვა ეროვნების „სკაუტინგების“ არსებობა, ამ „სკაუტინგებისა“ რომელნიც მართალაც „სკაუტინგების“, ბაირაღით საქართველოს საბჭოთა მთავრობის დროშას ეფარებიან და არიან ნამდვილად სოლოლაკის წიაღიდან გამოსულნი? გვიპასუხეთ რას ფიქრობდა იმ თაზე ყრილობა? ამას, რომ ისინი უკვე „პროლეტარულ“ ნაწილებით არიან შევსებულნი?—სასაცილო ირონიაა, მწარე თავის მოტყუებაა, მაგრამ ვინ იქნება მომავალში ასეთი შეცდომის მსაჯული, თუ არა ისტორია?

დასასრულ ამხ. დევდარიანო, როგორც ახალგაზრდას და კომუნისტს, თუ კი გულწრფელი სურვილი გაქვთ გულწრფელი სამსახური გაუწიოთ კომუნიზმს და სოციალიზმს, გულწრფელად გირჩევთ ფხიზელი დარაჯობა გაუწიოთ საქართველოს ეროვნულ კულტურას საქართველოში, ვინაიდან [illegible] ყველგან [illegible] გზას ავცდებით.

დაგვეთანხმებით ამხ. დევდარიანო რომ ძალიან რთულ მომენტში ვცხოვრობთ და ეს შექმნილი პირობები გვაიძულებენ ბევრი კითხვები ფრჩხილებში დავტოვოთ, მხოლოდ ერთს კი მოურიდებლად გეტყვით:

დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოებრივი გადატრიალება ჩვენთვის ფაქტია.—ფაქტია ისიც, რომ ერთი მთავრობა მეორემ შესცვალა და მაშასადამე ფაქტიურად სახელმწიფოს შინაარსიც სისტემის მიხედვით შეიცვალა. რა ცვლილებაა არსებითად საქართველოს, როგორც სახელმწიფოს გარეშე? რასაკვირველია არაფერი, გარდა იმისა, რომ შინაარსი შეიცვალა და საქართველო კი დარჩა იმათ, რაც იყო მრავალ საუკუნოების განმავლობაში ე. ი. საქართველოდ.

და რად უნდა გაგიკვირდეთ ამხ. დევდარიანო ის, რომ საქართველოში ყოველგვარი „გადაკეთება“ 117 წლის მონობაში მყოფ ქართველ კაცისათვის მეტად სახიფათო და საშიშ ამბავად არის გადაქცეული, რომელსაც არა თუ ფხიზელ დარაჯად უდგევართ, არამედ მას არავის არ დავანებებთ.

ჩვენ დროულად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ უკვე დრო არის ყოველგვარ ყაყანს ბოლო მოეღოს, ვინაიდან საკმარისი გარანტია ის არის ჩვენს ცხოვრებაში, რომ საქართველო საბჭოთა ქვეყანაა და მასში ყველაფერი გადაკეთებულია.

ასოთ-ამწყობი მუშა დ. მელაშვილი.

# ამხ. მექი ხოფერიას ხსოვნას

ცხოვრების მაისისებურ სიმშვენიერეს მოაკლდა ერთი სურნელოვანი ყვავილი...

უდროოდ დასჭკნა და სიკვდილის მძაფრი სუსხის მსხვერპლი გახდა ამხ. მექი ხოფერია, რომელიც თავის დინჯი, წყნარი და უმწიკვლო ხასიათი—თვისებებით წარმტაც შთაბეჭდილებას იწვევდა ყოველ ადამიანში.

ის ჯერ სულ ახალგაზრდა იყო ის იყო 19 წლის განათლების საღამოს კურსები დამთავრებული მომავალ წელში ლამობდა სახ. უნივერსიტეტში შესვლას, მაგრამ უმტყუნა ბედმა. მომავლის იმედით ამოძრავებული გული უცბათ გაიყინა... შეწყდა მისი ახალგაზრდური ცემა და ნაცვლად იმისა, რომ ღირსებოდა სანუკვარ მიზნების განხორციელებას, ეღირსა მირტო ცივ, ულმობელ სამარეს.

ნეტარ ხსენება ამხ. მექი... შენი ჩუმი, მაგრამ მტკიცე არსება—უფრო მძიმე სიჩუმემ შთანთქა, მაგრამ იტყვიან: „სიჩუმეში უფრო მეტი თქმა, ღრმა კვეთება გამოიხატება, ვიდრე საზღვარ დაუდებელ ენის ხმარებაშიო“ და ჩვენ მუდამ ტკბილად ვატარებთ ჩვენს მახსოვრობაში შენს დასევდიანებულ, მაგრამ ახალგაზრდულ ტემპერამენტით გაელვარებულ სახის გამომეტყველებას.

ვ. ნაჭყებია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

ქალ. ტფილ. აღმასრულებელ კომიტეტის
**გადასახადთა ბიურო**

აცხადებს, რომ შაბათს, 15 ივლისს, დღის 12 საათზე, აღმასკომის შენობაში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქვემოთ ჩამოთვლილ სასტუმროებისა:

1) ელიზავეტოპოლი—ვორონცოვის ქ. № 12.
2) შემახა—ცხრამეტი თებერვლის ქ. № 4.
3) ავრორა—პლეხანოვის პროსპ. № 5.
4) ახუნდოვის ნომრები — ვორონცოვის ქ. № 35.
5) კარაბახი—ბაზრის ქ. № 4.
6) ადერბეიჯანი—ვორონცოვის ქუჩა № 24.
7) ბორჯომი—19 თებერვლის ქ. № 93.
8) სამტრედია—მეჯლის ქ. № 2.
9) ირანი—ვორონცოვის ქ. № 26.

პირობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში მეორე ოთახში საიჯარო მაგიდის გამგე დარახველიძესთან. 3—1

ტირაჟი 700
საქართვ. ცენტ. მუშ. სამხ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა, კრუზენშტერნის ქუჩა.
ნ. დ. ს. ც.